ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4382708

ნომერი: AR1646881

თარიღი : 27.11.2018

გაცემის თარიღი : 19.02.2019

გაცნობის თარიღი : 19.02.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თემქის დასახლება, III მ/რ, V კვარტალი N25ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გიორგაძე პ/ნ 01017008285
- თბილისი ე.გაბაშვილის ქ. N 14

ორგანიზაცია:

- შპს ნეოგაზი კოდი: 405037213

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 27 ნოემბრის AR1646881 განცხადებით მომართა გიორგი გიორგაძემ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, მიწის ნაკვეთზე გაცემული შენობა-ნაგებობის ფუნქციად ბუნებრივი აირის საკომპრესორო

კონტეინერი, საშრობი და რესივერის დამატებას და დადგენილი ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით ქალაქ თბილისში, თემქის დასახლება, III მ/რ, V კვარტალი N25ა-ში საკადასტრო კოდით #01.12.05.001.063 რეგისტრირებულ (2500კვ.მ) მიწის ნაკვეთზე, ავტოსამრეცხაოს აშენების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები. 2016 წლის 21 ივნისის №2654238 ბრძანებით შევიდა ცვლილება აღნიშნულ პირობებში და მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითა-2733 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდა - №01.12.05.001.069. ასევე, 2017 წლის 3 ოქტომბრის №3583086 ბრძანებით შევიდა ცვლილება 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: ავტოსამრეცხაო, ავტოგაზგასამართი და ბენზინგასამართი სადგურები. ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 6 ივნისის #11-46 დადგენილებით სამრეწველო ზონა 1 შეიცვალა სატრანსპორტო ზონა 2-ით. დღეის მდგომარეობით, განმცხადებელი ითხოვს ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას და საპროექტო ობიექტის ფუნქციად ბუნებრივი აირის საკომპრესორო კონტეინერი, საშრობი და რესივერის დამატებას. ასევე, დადგენილი ფუნქციური ზონად სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ნაცვლად სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2)-ის დაფიქსირებას.
"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმი

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ: საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: ავტოსამრეცხაო, ავტოგაზგასამართი და ბენზინგასამართი სადგურები, ბუნებრივი აირის საკომპრესორო კონტეინერი, საშრობი და რესივერი.
2. ფუნქციური ზონად ნაცვლად: სამრეწველო ზონა 1 (ს-1); ა) სამრეწველო ზონა, სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები; ბ) შესაძლებელია სამრეწველო ზონა 1 (ს-1)-ის ფუნქციონირებისათვის უზრუნველმყოფი საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად დაფიქსირდეს: სატრანსპორტო ზონა 2 (ტზ-2), სატრანსპორტო ზონა 2 (ტრ-2) წარმოადგენს სატრანსპორტო ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში და მოიცავს არსებულ და საპროექტო (პერსპექტიულ) ავტოსადგომებს, ავტოგასამართ სადგურებს, გზატკეცილების გასხვისების ზოლებს, სადგურებს (მათ შორის აეროსადგურები, საზღვაო სადგურები, ავტოსადგურები, რკინიგზის სადგურები) და სატრანსპორტო მომსახურების უზრუნველმყოფ სხვა საზოგადოებრივ სამყოფებს/სათავსებს კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს დაემატოს გაფრთხილება: 2. პროექტის შეთანხმება, მშენებლობის ნებართვის სტადიაზე გათვალისწინებულ იქნეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის პოზიცია (იხ.დანართი);
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპლიეტეტის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 23 მარტის №2483278 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის

ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებთან და 2016 წლის 21 ივნისის №2654238, 2017 წლის 3 ოქტომბრის №3583086 ბრძანებებთან ერთად;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

•

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.